

№1. 9-12



მართალი

იუმორისტ. ჟურნალი

№12

ბელის-მოწერა არ მიიღება. მასალები გამოგზავნება ამ აღრესით: Тифლისь, Типография Шрома, Теофили Болквалдзе

F 88
1915



„დაღუბდა ბაგე მართლის მეტყველი გულზე დაეჭლა მშრომელი ხელი“

მუდამ სინათლის მძიებელსა „ამიერიდან დაფარავს ბნელი“.

საკაცის უკვლავი სალავი*)

გამარჯობა თქვენი ასლად მომავალნი!
მე უკვე მიმავალი გეტხოვრებთ და ვწუხვარ, რომ სავსეა სხვა ანდერძად ვერას კიტო-

ვებთ გარდა მართო სვეწნა-მუდარისა: გიუვარდეთ თქვენი საქმობლო.. თქვენი ერი, როგორც ზირველი სავსური ეცობრიობის მისწრაფებისა, რადგანაც სიკვარულშია ადამიანის ბედნიერება! მკრამ მისთანა სიკვარულში, რომელსაც სარჩულად სიმართლე და გულწრფელობა უძევს. უმისთო ეოველგვარი შრომა აძლავს და მშრომელს არა აქვს უფლება სიქვას:

*) ეს სიტყვები და შემდეგი ლექსები „მომავალის ფიქრები“, „ბავშვებისადმი“ და „მგოსანი“. სულმნათ მგოსანს ჩაძახილი აქვს გრამოდონში და მით მისი მკვერი ენის თავისებურება საუკუნოდ დატულია.

„უფალია ჩემთან! აღიღებო“.



მომაკვდავის ფიქრები

I.

თუ ჩემ სამშობლოს გამოადვიდებს,
ჩემი სიკვდილი, აჰა, მეც მზალ ვარ!..
მოდო ჯალათო, შენი მახელი,
შეუბრალებლად, ზედ გულზე დამკარ!
ყოველი წვეთი ჩემი სისხლისა,
თუ კი გამოადის მამულიშვილსა,
კლდეა არ არის, რომ მოვერიდო
მამინ მე ტანჯვას და თვით სიკვდილსა?
არა! სიკვდილი ვერ შემაშინებს,
მომზადებულსა მამულის მსხვერპლსა!
მზალ ვარ შეესწირო სული და ხორცი
და სამშობლოზე ვყრიდე მე ფერულსა.
თუმცა პირადი ჩემი ცხოვრება
ყოველთვის იყო ტანჯვა-ვაება,
მაგრამ სიკვდილში ეზოებ სიკაცხლეს
და ის იქნება თვით უკვდავება!..
თუ კი იმედი მე საიქიოს
გამეცა უკეთეს მომავლისა,
რომ ჩემს შემდეგი შთამომავლობა
იქნება შემძლე თვისის ვალისა!..
ღიად, თუ მომეტი გამოადგება
ჩემი სიკვდილი, მზადა ვარ მეცა!..
გამოადვიდებულს, სურვილს ქვეყნისას,
ხელს მოუმართავს, მწამს მე, თვით ზეცა.

II.

ბავშებისადმი

პატარა რომ ვიყავი,
პატარა ბიჭუკელა,
არც მეტი და არც ნაკლე,
აგრე მხოლოდ თქვენ ხელა;
ღიდი რამე მეგონა
ჩემზე უფროსი ყველა.
მაგრამ, რომ ვაფიზარდე
კოტა რამ შევისწავლე
და შეგნებთ ცხოვრებას
თვალყური მიმოვაყვლე,
მიფხედი, რომ ასში მხოლოდ
ორი სამი კარგია:
და დანარჩენი სხვები
ქვეყნისთვის არ ვარგია.
მათი მცნება ძალაა
მომრეობა — მუქია
და ქვეყნად სათაყვანოდ
უსულგულყო კუქია.
და თქვენ კი არ მიბძაობ
იმ კუქია-მუქიას

და მით არ მიემსგავსათ
უმნიშვნელო რამ ჭიას
გიყვარდესთ სამშობლოსადმი
ერთად ქვეყნიერება,
მხოლოდ სიყვარულშია
კაცის ბედნიერება.

III.

მგოსანი

ხან უფნური, ხან ბრძენი,
ხან არც ესა ვარ არც ისა,
გარემოების საყრიც
არც მიწისა ვარ არც ცისა

ნუ მკიცხავ მზახო უფნურად
ნურც ვაიკვირებ ბრძობასა,
სულ სხვა ჰყავს ხელის უფალი
ამ ჩემს გონება — გრძობასა.


ეს გული სარკედ ქვეულა
ბუნების ნათავებლია
მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ,
რასაც შიგ ჩაუხედი.

ენაც მას ამბობს, რაც ყურსა
სხვისაგან გაუგონია
ან თვალს უნახავს და ჰკუჟს
გაუზომ-აუწონია.

თქვენ რომ გგონივართ, ის არ ვარ
სხვებს რომ ჰგონიათ რაც ისა.
შუა კაცი ვარ უბრალო
არც მიწისა ვარ არც ცისა.

უკანასკნელი აზგორი.

დღეს უკანასკნელათ ვეთხოვებით ჩვენს დიდებ-
ბას, ჩვენს სიამყეს, ჩვენს ყველაფერს, ჩვენს აკაცის.
თითქმის სამოცი წლის განმავლობაში აკაცი
იყო ჩვენი სულსდგმა, ჩვენი პაერი. უმისოთ არ
შეგვეძლო მღერა, არ შეგვეძლო ტირილი და ურ-
ვა, ის თუ არ მოგვეშველებოდა, არ შეგვეძლო სატრ-
ფოსათვის გაგვეტყალებინა სიყვარული, მეომარი გა-
გვემხნევებინა, დავრდომილისათვის ნუგეში გვეცა,
იუდა გვეზიღ და შეგვერცხვინა, გმირისათვის პა-
ტივი გვეცა. უმისოთ ვერ ვასწავლიდით ყრმებს
შშობლიურ ანბანს. მისი კიუბი ცეცხლით აღგზნე-
ბული ჰავებოდა ერთნაირთ ესალმუნებოდა ყველა
ბედით ჩაგრული. ქემბრიტად რომ ის გმირთა გმი-
რი ამირანი იყო, რომელსაც „ქვეყნად ცეცხლის
მოტანისთვის გულს ცეცხლი არ შორდებოდა“.



აკაკიმ საცემბით „შეიტკობო და შეიყვარა სამშობლო მხარე, აწუგეშო მოძმე მწუხარე, თვალბილულად დაუკვირდა და სცნა ეს ქვეყანა, გაიგო ამ ქვეყნის ცრუ გამოცანა“ და დარწმუნდა რომ ვინც ქვეყანას უნაგაოროთ ემსახურება მან ამ ქვეყნისა და საქვეყნო საქმის გულისათვის თავი უნდა გასწიროს, პირადი „მე, საქვეყნოს ჩვენ“-ს უნდა ანაცვალოს და ამ ქვეყნისთვის ისე დაიწვას, როგორც პატრუქი. დიდება და თაყვანისცემა ასეთ მოღვაწეს, რომელიც საცემბით დაიწვა ქვეყნისა და მოძმის კეთილდღეობისათვის, დაალია ზეთი, ჩაიფერულა პატრუქი, დაიმსხვრა დავითის ქნარი.

„დადუმდა ბაგე მართლის მეტყველი, გულზე დაექლა მშრომელი ხელი“ და მას, ვინც სამოცი წლის განმავლობაში მედგრათ ებრძოდა სიბნელის „ამიერიდან დაფარავს ბნელი“. მაგრამ მუხლი მოიდრიკეთ დიდებული ცხედრის წინაშე, რადგანაც თვით მის ნაღვესა და ნაწარმს ვერავეითარი ბნელუკუნეთი ვერ დაფარავს. რამეთუ „მისთანა ცხოვრება იყო და იგი ბნელსა შინა ჰსჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია“.

„და სიტყვა მისი ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენ შორის და ვიხილეთ დიდება მისი, დიდება ვითარცა მხოლოდ შობილისა მამისა მიერ, სასვე მადლითა და ქეშმარიტებითა“.

მოვიდრიკეთ მუხლი და მოვედით უკანასკნელ ამბორის ყოფად:

„დიდება შენსა მოვლენას,
ციურო ტკბილო ძალოა.
დაადნა გული შენს სიმებს
და სული დაიკალაო!“

მათე.

აკაკის ლექსები

ჩ ა მ ი რ ა მ ე ნ ა

(ეს ლექსი დაიბეჭდა აკაკის საეკლესიოს შემდგომ მხოლოდ „თეატრ და ცხოვრება“-ში)

როს მოდიდდება წყალ-მდინარე
და კალაპორტში ველარ ეტევა,
აღელვებული, აჭაფებული
კიდებზედაც გადაენტხევა:

წალეკავს ნაპირს და თან წაიღებს
მოპირდაპირედ რაც დაუხვდება;
სტიქიონურის ძალმოსილობით
კლდეებს ეხობება და ქვეშე ხტება!..

დაქანებული სიმწრით თავდალა,
უსწორმასწოროდ იმღვრევა ხშირად,
გველ-ბაყაყებოც თევზებთან ერთად
გამოჰყავს ხოლმე ძალით ნაპირად!..

ხალხიც ასე: რომ აღელდება
და თავის ქერქში ველარ ეტევა,
ვერ შეაჩერებს, როგორც სტიქიონს
ველარც ვეღრება და ველარც წყევა.

წალეკავს ყველას, რაც ცხოვრებისთვის
არ გამოდგება, უქმი ბარგია
და გადარცხავს სისხლით მხოლოდ მას,
რაც წარსულიდან აღარ არგია!..

და როდესაც ის კალაპორტშივე
ჩაღდება ბოლოს დამშვიდებული,
დაიწმინდება და იწყებს დენას
სხვა ცხოვრებისთვის გაახლებული!..

ასე ვფიქრობდი და ამ განძრახვას
მოვესწარი კიდევ... განხორციელდა:
აქამდე შონა ბიუროკრატის
დღეს გამოფიხზულა ხალხი, აღელდა.

და აღარ უნდა კიდევ იკისროს
ძალმომრეობის ძველი უღელი!..
განთიადს ელის ალღო აღებით,
ნათელს მოელის მოსწყინდა ბნელი!..

მოელის, მაგრამ ჯერ კი არა აქვს
მას ის ნათელი გამორკვეული
და მრუდესა და სწორს თანწორად ებრძვის,
გაურჩევლად გზა დაბნეული!..

აი ეს არის ის დიდი ძალა,
რომელსაც ჰქვია რაღაც სტიქია
და რასაც ხშირად ძველი ტალახი
თან წაუღია... წაუღეკია!

სიქამწვილიდან მოხუცებამდე
ეს მაწვა გულზე, როგორც რომ ლოდი,
და ხალხის ჩვენში გამოღვიძებს
ერთხელ, ოდესმე მეც მოველოდი.

მადლობა ღმერთს, რომ მოვესწარი
ჩემი სურვილის ასრულებას.
და ვით ბუღბუღი დაბერებული
მეც დროთ უგალობ „ქებათ-ქებასა.“

მართალი არის, სისხლი იღვრება,
მაგრამ მოითხოვს ამას ბუნება!

წყალი ხორცსა ჰმან და სისხლი სულსა,
ამას გვიმოწმებს თვით ქრისტეს ენება.

—
თვითო-ორი კარგიც იჭრება.
რომ იმარგლება სიმინდის ყანა,
მაგრამ ამიტომ მის გათოხნაზე
ხელს იღებს ხოლმე ქვეყანა განა?

—
მყარლ ბალახებთან ზოგჯერ უეცრად
იჭრება ხოლმე ვარდი და ია!
საქმე არ არის ერთში და ორში..
საქმე მხოლოდ თვით იდეია!

—
ხალხი მღელვარებს, ვაჟა მის ლელვას!
ერთხელ ის მღვრიაც გაიწმინდება,
როცა ცხოვრება გამარჯვებულად
კალაპოტშივე წმინდად ჩაღვება...

—
ასე გრძობს გული, აღელვებული,
ხალხის მიბაძვით მოუსვენარი
ვერ შეაჩერებს ძალად ზამთარი,
როცა გაზაფხულს ეღება კარი!..

მეორარი ზვილს დედის სიძლირა

—
ცხრა თვეს მუცლით ვატარებდი,
„ვაით“ გშობე, „უით“ გზარდე.
და რად გიკვირს, ყოველს ქალზედ
უფრო დედას რომ უყვარდე?..

—
ქალი მამას ქვარში გასცვლის,
კოლი ქვრივი სხვას წაჰყვება;
მაგრამ დედას შვილის ტრფობა
სამარეში თან ჩაჰყვება!

—
ახლოს გული მისთვის უძვერს,
შოაზს მყოფს ფიქრით თავს ევლება;
უფიქრულად თავს შესწირავს,
დედა თვის შვილს ენაცვლება!..

—
რა მოგშორდი, შვილო, შემდეგ
შავი ფიქრი გულს მიბურავს...
ვაჰ, თუ გშინან? ან გწყურავს?
ან გცივა და არა გბურავს?

—
ეგებ ვღიხარ ბრძოლის ველზედ,
გულს ვასვია მტრის ისარი,
და რომ წყლული შეგხიფიოს,
დედა შენი არსად არი!..

—
გაი თუ, შენს ლამაზ თვალებს
ყავი ჰკორტნის და ყარჩინულნი
და უნაგრიო, უბატონოსი
დაგეხიფინებს თავს მერანი!..

—
ვაჰ, თუ შენსა ხუჭუქ თმისა
ჩიტი ბუდეს შიგ უფედდეს?
მაშინ დედა შენი ჩიტად
გადაიქცეს, შენსკენ ჰფერენდეს!..

დის სიძლირა

(რომლის ძმაც ბრძოლის ველზეა)

—
ძმა კარგი და რიგიანი
დისთვის არის საქებარი,
თუ მასთანაც იმავე დროს
არის მისი მეგობარი.

—
მეგობრობა არის გრძობის
და აზრების შეთანხმება,
თვარა უამათოდ არის
ანგარიში და გაჰქრება!

—
მე გოგია მისთვის მიყვარს,
რომ ძმა და მეგობარი,
და მისთვის მსურს მისი ხილვა,
მასთან ხშირი საუბარი,

—
რომ თავიდან ფეხებამდე
ის მამულის შვილი არი,
თვის მარჯვენას მისთვის ხმარობს,
და მისთვის ეღერს მისი ქნარი!

—
ღმერთო, მიეც გამარჯვება;
განსაცდლისგან დიხსენი;
დაგვიბრუნე შინ მშვილობით;
გვედარბე მონა შენი!..

—
და თუ მოკვდეს ბრძოლის ველზედ,
გაემსკვალოს ისრით გული,
მაშინ ჩიტად ვადამქენი!
მსურს შევიქნე მე ბუღბუღი,

—
რომ მის საფლავს მარტოხელსა
მე ვუსტყვენდე გრძობა მტკბარი,
და იმ ხმასაც ყურს უგდებდენ
არე-მარე, მთა და ბარი!..

ცოლის სიმღერა

(რ. მელქის ქართ. ჟანრაჟი კავს.)

მითხარით, ლამაზ ცოლისთვის
ნეტავ რა არის ქმარი?
ადვილად გამოხატავლი
ვერცხლისა რამ ქმარი!

დღეს ერთს მოირტყამს, მეორით
ხვალ დაიმშვენებს წელსაო!
თუ დაეკარგა, იტირებს,
მაგრამ გაუძღვებს სენსაო!

ქვიან ქალს ვერ შეაშინებს
ქერივობა, ქმრის სიყვედილია:
შავს იცვამს, მაგრამ იმედი
გულში უჩნდება ტბილიო.

მითხარით, ლამაზ ცოლისთვის
აბა რა არის ქმარი,
თუ არ ადვილად საცვალი,
უბრალო რამ ქმარიო?!

ჯარის ქაცი

პატარა ბიჭი ვიყავი,
პატარა ბიჭუკელოო,—
„დაურჩი დედას, კარგი ხარ!“
შემომნატრიდა ყველაო.

პატარა გოგო მიყვარდა:
პატარა გოგუცანაო,—
ცაში ვარსკვლავიც არ ბრწყინავს
ლამაზი იმისთანაო.

ორივეს თავი მოგვწონდა,
გულს კარი ჰქონდა ღიაო.
შიგ ქიკვიკობდა ბულბული,
ვარდი ჰყვავდა, იაო!

გვეგონა, დაბლა ქვეყანა
მალლით, ცით, დათაფლულაო,
შიგ სიყვარული ნათესი
ჩვენს კარზე ამოსულაო!

თავზე დავიდგით გვირგვინი,
მივდექით საყდრის კარსაო.
მამასახლისმა დაგვძახა:
„მღვდელი, ნუ დასწერ ჯვარსაო!“

„ნეფეს სალდათად იწვევენ.
უნდა მოხადონ ვალიო!
სამ წლამდის ქვრივად დარჩება
ხელმწიფის პატარძალიო!

დავღონდი პატარა ბიჭი,
პატარა ბიჭუკელო!

„ვი შენს დედას საბრალოვ!“
შემომტროდა ყველაო.

პატარა გოგოც ატირდა,
პატარა გოგუცანაო!
მაგრამ ჩემ დაბრუნებამდი
სხვა ნახვა ჩემისთანაო!...

სურვილი

მინდა, რომ ჩემსა სატრფოსა
ვხედავდე თავისუფალსა,
რომ ძალით ვერ აშინებდენ,
ვერც ნებით უხვევდენ თავლსა!...

მინდა, რომ მისი სახელი
გათქვამს ძველებურადა
და მისიანი ყველანი
ერთად სცხოვრებდნ ქმურადა!
მინდა, რომ მისსა დიდებას
დამღერდეს რუსთაველის ქნარი
და იღვიძებდეს იმ ხმაზე
ტაშის კვრით ხალხი მძინარი!...

მინდა, რომ... მაგრამ ეჰ, კმარა!
ფრთა შევაკვეცოთ სურვილისა,
თორემ რა მოჰკლავს უფსკურულსა
მამულის-შვილის წყურვილსა.

უღარდელი ქაცი

ყველასათვის კარგი მსურს,
ბოროტების მტერი ვარ.
გულში არ შეეუშვებ შურს
და მით ბედნიერი ვარ...

მე ბევრს არას დავეძებ,
რაც მაქვს, ცოტას ვჯერივარ,
ქვრივ-ოხერს არას ვტაცებ,
ისეც ბედნიერი ვარ!...

პატიოსან ოფლსა ვღერი:
მეც მუშაკად ვწერივარ;
უსაქმურ კაცს ვუყვები:
„მხედავ, ბედნიერი ვარ!“

ხან მაქვს წყალი და პური,
ხან-და-ხან მშვიტი ვარ,
მაგრამ ბედს არ ვემღურო,
მინც ბედნიერი ვარ!...

ბატონიც ვარ, ყმაცა ვარ,
ჩემთვის ყველაფერი ვარ!
ხომ მხედავ, ვარ, რაცა ვარ?
ვარ და ბედნიერი ვარ!...

მიყვარს გაჭირვებული,
მეც მისებრ ოხერი ვარ!

თუმც არ მაქვს გროში ფული,
მაგრამ ბედნიერი ვარ!..

დიდ-კაცებს თავს არ ვუძკრავ,

— რა მათი საფერი ვარ?

უმათოდაც, არ ვფარავ,

ჩემით ბედნიერი ვარ!..

სანამდის მაქვს ძალ-ღონე,

ვიღრე არც ხნიერი ვარ,

ვიძახებ თავ-მოწონე:

„ვარ და ბედნიერი ვარ!“

ახალ-მოღის ძალი.

„ერთი ქალისას ამობდენ,

მშვენიერება არიო!..

ნეტავ მას, ვინც კი გახდება

იმისი მეგობარიო!..

ამ დროში სსჭრთეველოში

აზრენა ჭეუვს ტოლიო,

მაგრამ ვინ დირსა, რომ ჭეუვდეს

მისებრ ლამაზი ცოლიო?..

ტანაზა არის ტრფობისა

მისი უმანკო გულიო;

ბევრი ჭახუვი გენახავს

მის გამო კალახულიო!

ვთა ბუბუ ი კოკობ ვარდს,

დასტრფიან ვმარჯვლებიო;

ესეთქებიან ერთმანეთს

უსაქმო ცუდლუტებიო!

მაგრამ ამ ლამაზ ქნალებს

სხვა მხრით უჭირავს თუაღიო...
მოდი თ და ნახეთ საქები

ჩვენი ქართულია ქალიო!

წყევლ და ვნახე ლამაზი:

მართლა რომ მოსწონია!

მაგრამ შემდგარა ბრძანდება.

ვისაც ქართული ჭეობია!

სახელად ერქვა მამხევა;

ესთქეო: თუ რა არის მოაღ-თქეო?

ძველი დრო რომ უიფიდიყო,

მარიამ ერქმეოდა-თქეო!

თავ-მოხდაღს, სკუთარ თმებში

სხეებისც ჭეონდა ჩართული!

სხვა ერთ ამიჯღურტულად,

ეზარებოდა ქართული!

ამობდა: „როგორ ვიკადრებ

ქართულად ჩაცმა-სურვასო!“

ნახევრად იყო ტიტული..

თათქო ამირობს ცურვასო!

კაცებაჯეითა მეტრეველი,

დასტოდა როგორც კალაი,

ის ტურტუების დამწვება

და მათი გულის-კალაი.

მხოლოდ ეს ისტრუქცია

იმის ურუხა თვალბეში:

„მე ჩემი დღე და სოფელი

სუნდა დაჯელი ბალებში!“

და ეს სიტუებო ეწერა

იმის მშვენიერ სხეულს:

სხვა საქმე არ მაქვს, მე მხოლოდ

სიბეებს ვუბებ მახესა.

მოწონს კალია, მალია,

მძულს ვარდები და ააო!

სამშობლო რასა მიქვან,

მეწერსაც წუღაიო!“

ნადირიკვა

სულენი ჩემს ძალდს

კულ-ქიციან და შავ-ყურა,

ჩემო ძალიო, ჩემო მურა,

სუყველამ ჰირი მოგკამოს,

ვინც მე ტყვილა დამემდურა...

რადგან კაცში მეგობარი

უსასყიდლო არსადარი,

სულ ძენით რომ ვადვიროთ

ოც-და-ათო მთა და ბარი,

აწ მეგობრად გირჩევ შენა!..

თუმც, პირ-უტყუო, არ გაქვს ენა.

მაგრამ გშენის კულის ქნევით

ერთგულების გამოჩენა.

მე რომ სეღლით მიწუხს სული,

შენც გიღრინავს მაშინ გული,

წუწკუნით თვალბეში მიცქერ

შენ კულ-ამომტეხული.

და მოლხენას რომ შემატყობ,

ჩემს სიხარულს შუა იყოფ;

კულს აქიციენებ, ნავარდობ,

აურებს ცქვეტ, ჰყუფ და ამაყობ!

არ ხარ კაცივით შავ-პირი,

მეგობრებს აწ აღარ ვსტირი,

რადგანც შენ დაგმეგობრე—

ყველამ შენ მოგკამოს ჰირი!..

ბევრი ტყვილა თავს იმკობენ,

კაცნი ვართო, ამაყობენ,

მაგრამ მხოლოდ შენ გბაძვიენ:

ძალიობენ და ვერ იტყობენ.

უსაქმურად ტყვილა ჰყეფენ,
საზრდოს სუნით დაეძებენ,
ძლიერს ფეხებს უსლაქავენ,
სუსტებს კი საზრდოს სტაცებენ.

გზედავ, გაძვირდნ კაცები,
ნაცვლად მრავლობენ მხეცეები,
მაგრამ ბევრი ვერა ჰხედვენ,
რადგანც არიან ბეცები!..

აწ მე და შენ ვინადიროთ
და მჭერეტელნი გავავიროთ:
მოედანზედ გამოვადლოთ
ის მხეცეები, დავიჭიროთ.

ჩუ! გამოხტა ერთი მხეცი!
სსსი!... ჰქარ მაგას!... მაგას ეცი!...
რა მხეცია, ერთი ენახოთ?
დამართნია კიდეც ქეცია!..

თავ-მსხვილაა და შავ-პირი,
ჩამოუვლია ქვიჭვირი,
ცხლა ვიცი, ვინც ბძანდება:
ბატონია დიდი ვირი!

ეგ კუდ-მოკლე, შუბლ-მაგარი
პირუტყვების თავი არი,
თუმც ვარჩევა კი არა აქვს,
სწორედ უჩნს მის მთა და ბარი!...

მეგობრები ჰყავს ათასი,
თუმც კიტრია მაგის ფასი!...
— შეუტივე მე ყურ-გრძელსა,
მშუ! ამუ! ჰქარ მაგას!... სსსი! ..

ტყვილად გახლართულა თოკში,
სჯობს, წამძანდეს ვირის ჯოგში!
„აჲ, ვირო! აჲ, ვირო!“
მივძახხოთ: ჩოქში! ჩოქში!“

აბა, კიდეც, ჩემო ძაღლო,
მოუყევე ახლო-მახლო,
გამოავდე მოედანზედ
მხეცი, კბილი კი არ ახლო!...

ჩუ! გამოხტა!... ესეც ორი!...
რა მხეცია? — გახლავსთ ღორი!
ღრუჭუნითა მოძუნძულობს,
მსუქნადა აქვს ტანზედ მძორი.

კულს აბზეკს და თავს დაბლა ჰხრის,
მისის დრუნჩით მიმუღლას სიხრის,

სხვის ეზოში ნავაგა სჩხრეკს,
გამოაქვს და შარაზე ჰყრის.

მაგის ყველას ეზონია,
რადგანც აქვს დიდი ზინია.
თვისას სერის, სხვის ეზოს სწუმნადეს,
ერთგული და მომჭირნა!...

ჰქარ მაგას! ნუ შეგეზინდა!
ეგ პირუტყვი ჩვენ ნუ გვირდა!
წასულია მაგისი ღრო,
მაგის დილა დაიბინდა!

სსსი! აწ თავი მოუარე,
უცბინე და გაამწარე,
რომ ხალხში აღარ გამოჩნდეს,
მოდებნოს თავის საღორე!

მოუყევე! აბა! ეცი!...
ჩუ! გამოხტა კიდეც მხეცი!
აბა სცანით, რა მხეცია,
თუ არა ხართ ყველა ბეცი!

ყურ-ცქვიტინა და კუდ-გრძელა,
მოკუნცულებს ნელ-ნელა!
აბა კარგად გამოვიცნოთ,
დაუკვირდეთ მაგას ყველა!

გზედავთ, ვიცნობთ: გახლავსთ მელა,
მაგან ყველა მოგვიწენლა:
არც მტერსა და არც მოყვარეს,
არ ზოგავს თუ დაიხელა!...

წინ მეტად შორს იყურება,
სხვის ეზოში რომ მიძვრება,
და ვაი მაგის მიმდობსა,
რა უწყალოდ ტყავი სძვრება!


სხვის ხარჯით გასუქებული
დაღის ეგ გაწუწუებული,
გაუტანლობით, ღალატით
და ეშმაკობით ქებული!

სსსი! მურა, მაგას უცბინე!
სერი გადაარბენინე!
კულიდამ ტყავი ააძრე
და თვზედ გადააფინე!...

მოუყევე მორბის მეგლი,
ეგ მყრალი და სამაგელი;
სულ მაგისგან ამოვარდა
საწყალი ჩემი სოფელი!...



მაგრამ შენ, ჩემო ქუცურა,
ტკილად მეფეო, კარგო მტრად
სუყველა შენ გენაცვალის,
ვინც ამ ლექსზედ დამემღერა!



1840—1915

აკაკი.

სიკვდილი

(დასასრული. ახ. „მთარხსა“ № 1)

III

ამიტაცა სულთამბუთივამა და გაეფრინდით!..
თვარეს ავცილდით, ვარსკვლავებს გვერდით ავუა-
მრეთ და მივაწყდით ერთ მნათობს. „აქ არის ქარ-
თველების სივანეო!“ — მითხრა ჩემმა წინამძღვარმა და
შემიყვანა წალკოტში. ქვეყნიურ ოცნებას არ შეუ-
ძლია წარმოიდგინოს მისი სიკეთე!.. თვალდაღწვდე-
ნელ ტალღებში ტახტზე ისხდენ ორ პირათ მეფე-
დღეღაფლები. ყველაზე პირველი ადგილი ეჭირა კა-
ცეში დავით აღმაშენებელს, ქალღმბში თამარ მეფეს.
მათ მახლობლათ იყვენ ვახტანგ გორგასლანი, ორი
ბაგრატი, გიორგი ბრწყინვალე და სხვანი. რიგ-რი-
გათ იყვენ ჩამწყობებულნი, ღირსების გვართ; ზო-
გიერთები ისე შორს იყვენ, რომ ბუზის ოდნათაც
არ მოჩანდენ... ისეკლი ვერსად შევნიშნე, და
რომ ვიკითხე, ასე მითხრეს: „სწარღლების გუნდში
გადასვლა ინებაო!..“

როცა მიმიყვანეს, თაყვანი ვეცი მეფეთ-მეფეს.
დიდებულმა ჯერ ვინაობა გამოკითხა და მერე მი-
ბძანა: „რათ იტკინეთ უტკივარი მუცელი, ან ჩვენ
რათ შეგვაწუხებთო?“

პასუხი რომ მოისმინა დავით აღმაშენებელმა,
ფიქრში ჩავარდა; შემდეგ მიუბრუნდა თამარს:

— დედოფალო — მეფეო! შენ, მხოლოდ შენ
შეგშენის გამოკითხო დაწვრილებით ქვეყნის ამბავი
ამ ახალ მოსულსო.

თამარმა ღიმილით შეხედა, თითქოს შუქი მია-
ფინაო, და მიუგო:

— დიდებულო მეფეთ-მეფეო! მხოლოდ ერთათ
ერთი მზის ელვარება ფანტაქს ბნელს და აყენებს
დღეს, მთვარე მხოლოდ ბნელში კაშკაშობს და
წყნარათ ისვრის სხივებს, იმ სხივებს, რომელიც მზი-
საგანვე წყალობათ მიუღია. ჩემი შუქი თქვენნივე
ანარეკლი ელვარება!

— არა, ჩემო ღირსეულო შეილი-შეილო მე,
როგორც მამასახლისს, საუნჯე ვარედან შემიკრებია
და ოჯახში შემომიტანია; შენ, როგორც ქვეყნის
შესაფერ დიასახლისს, მიგიღია, შეგინახავს, მოგიფ-
ლია და სწორი თავდარიგი მიგიცია. შენ უჩემოთ
და მე უშენოთ თითო სრული არ ვიქნებოდით,
ნახევარ-ნახევარი დავრჩებოდით. ისეთივე პირველო-

ურცხვად, უშიშრად ტანტალობს,
საზრდოს სტაცებს ყველას, ძაღვს,
მაგრამ ვერინ რას უბედავს,
რადგან თვითონ ღომი სწყალობს.

მაგრამ ღომსაც მოუვა დრო,
მოაგონდეს თავის სიბორო,
უტებს ტყეში გლიჯინობდეს,
აღარ ჰქონდეს ბინა მყუდრო!

მაშინ მგელსაც დაივიწყებს,
ტაცებაზედ ხელს აიღებს
და, ახლა რომ ფეხებს სლოქავს,
იგივე ძაღლი შეუწყფს.

მოუყუფე კიღვე ჩქარა!
ან და ნუ ჰყუფ! აწ კი კარა!...
თორემ ამ ერთგულებისთვის
დაგვერქმევა მეტეჩარა!...

დღეს სიმათლეს ვინდა ეძებს!
დავანებოთ თავი მხეცებს!..
თუ სუყველა გამოავადეთ,
ცოტას ვნახათ ჩვენში კაცებს!..

ესე ჩვენი ერთგულება,
ფიქრობთ, ბევრს არ ეყურება!..
მართალისთვის, კარგად ვიცით,
რომ ბევრი დაგვემღურება!..

ბა შეგვეფეროს მეფეთა შორის, როგორც მე, და მაშინ შენი ჰირანხული ქვეყნის ამბავი შენვე გამოკითხო.

— უმჯობესია, ჩემო მწყალობლო, ჩვენმა კარის კაცმა ყველამ თავ-თავის ხელობის შესახებ გამოკითხონ და ჩვენ მოვისმინოთ.

მოეწონა ეს რჩევა დავით აღმაშენებელს და გაგზავნა შიკრიკი სარდლების გუნდში: „უპირველესი მათვანი გამოცხადდესო“.

დაბრუნდა გაგზავნილი და მოახსენა: „სარდლებში დიდი უთანხმოება გახლავთ, ბატონო! პირველობას ერთი-მეორეს უთიშობენ: მხარგმელები გამრტყელს, გამრტყელი კახაბერს, კახაბერი ჭიბერს, და ყველანი ერთათ კი გიორგი სააკაძეს შეეპურებენ; მაგრამ გიორგი სააკაძე შორს იტყერს თავის პირველობასო“.

— თავმდაბლობა გმირთა ბუნებააო, — მძანა აღმაშენებელმა და გახუმდა.

— რადგანაც ისინი ვერ შეთანხმებულან, კანონის მდებარეობა მივანდოთ და იმათ გადასწყვიტონ ეგ საქმეო, — ურჩია თამარმა.

წინ წამოდგენ აბულა-ათაბაგი, გიორგი ბრწყინვალე და ვახტანგ მეექვსე; შევიდნენ სარჩიელში, მაგრამ იმათშიც უთანხმოება მოხდა. აბულას და გიორგი ბრწყინვალეს ვახტანგი არ დაეთანხმა.

— რა ამბავიაო, — ბრძანა აღმაშენებელმა, — აქაც აღარ იშლიან ქართველები თავის იმქვეყნიურ ჩვეულებას?

— მეფეთ-მეფეთა მოახსენა ვახტანგმა, ესენი ასახელებენ გიორგი სააკაძეს. მართალია, ის ვასაოცარი გმირი იყო და „მისი საქმენი საარაკონი“, მაგრამ მის ღვაწლს ჩრდილი ფარავს.

— არა! შემდარი აზრიაო! — სთქვა გიორგი ბრწყინვალემ. მართალია, დიდი მოურავი სპარსულ კაბას იცვამდა და თათრულ ჩაღმას იხვევდა თავზე, მაგრამ ის ყოველთვის და ყოველგან მაინც ქართველი იყო, სამშობლოს სიყვარულით უძებრდა გული და მზათ იყო — სულიც შევიწრო; და თუ მისმა ღვაწლმა უნაყოფოთ ჩაიარა, ამის მიზეზი უფრო სხვები იყვენ: მაშინ როდესაც ის თავის ვაჟკაცი შვილებითა და მკირე გუნდით საარაკო საქმეებს ჩაღიოდა, მოხმარების ნაცვლათ სხვები ხელს უშლიდნენ. თვით თეიმურაზ პირველი სტვირის გუნდით კარბკარზე დაწინაწოლობდა, და როცა ქართლ-კახეთს შაიკო დღე ათუ, ის იმერთში „შაიფარვანის“ ლათაიობდა. არა თუ ქართველებს მიავყენა ჭირი მისმა კარბკარ სიარულმა, თვით იმერთიც გაირყენა მისი დამოყვრებით. მისმა ასულმა დარეჯანმა აურ-დაურია მთელი დასავლეთი საქართველო და თითქმის სასოწარკვეთილებამდე მ იყენა. ამისთანა დროს მე-

ტი რაღა ექნა გიორგი სააკაძეს? ქვეყანა მას ტყუილათ აღდეს ბრალს.

— კი, — მაგრამ სპარსელები ქვეყანას ვაჩვენებენ? თათრებს ხომ ის ეპატრებოდა? გარეგნობით ხომ შეცვლილი იყო? — იკითხა ვახტანგმა.

— მართალი არის, მაგრამ ეს სულ მოსატყუებელი მოჩვენება იყო. თვითონ შენ არ იყავი, რომ კათოლიკობა გინდოდა მიგელო? ვათათრებითაც ვათათრდი, მაგრამ შენვე ეკვი არავის შემოუტანია, ერთგულებათაც ჩავითვალეს ეგ შენი გადასხვაფერება, ამიტომ რომ შენ მეფე იყავი, და ის კი უბრალო კაცის შვილი.

აქ დიდი უთანხმოება მოხდებოდა, რომ თამარი არ ჩარეულიყო და არ ებძანებინა: „მეც თანახმა ვარ გიორგისო! მოიყვანეთ სააკაძეო!“

წინ წამოდგა სიმდაბლით სააკაძე, საოცარი და საოცნებო თვალ-ტანადი მოურავი. შეხედდეთ თუ არა, მაშინვე გამეფო გუნებაში: „აი ეს ყოფილა რუსთველის ტარიელი-მეთქი!“ მთელი მისი ღღევანდელი ჩამომავლობა რომ ერთათ შევაწებოთ, მის ფეხის ფრჩხილათაც არ გამოჩნდებოდა!

იმას უბძანეს, რომ გამოეკითხათ ჩემთვის ქვეყნის ამბავი. ისეთი თვალით კი შემომხედა, თითქოს უნდოდა — შეეტყო, ეს უკალაუ საიდან მოთრეულიყო, და ცალკუბათ მკითხა: „რასა იქს ღღევანდელი ქართველობა? ხომ ისევე ისე ძველებურათ არისო?“

— აღარ, ბატონო! თავი უწეროლდება, გული უბატარავდება და მუტელი უღიდდება-მეთქი, — ვუბახსუბე.

— შიშ ვაჟკაცათ კიდევ ვარგან?

— რატომ არა? თვისიანზე გულდიდი გახლავან, გარეშეების კი შიში აქვთ.

— იარაღს როგორ ხმარობენ?

— ძალიან კარგათ! როცა ღზინში არიან, ძალიან გამბედავით აძებრებენ ხოლმე ერთი-მეორეს, შინაურობაში თავს არ იზოვავენ.

— მაშინ დღეს სახელგანთქმული გმირი აღარავინ გვაყვას?

— როგორ არა? დარჩია, მიქელაიშვილი, და თუნდიშვილი, კურუა და სხვანი.

— მაღლობა ღმერთს! მათი ღვაწლი? მათი გმირობა?

— დიდი და შესანიშნავი! თუ სადმე შეიგულებენ ქვრე-ობოლს, უიარაღოს, უძლოურ დედაკაცს, მაშინ ძალიან ვაჟკაცობას იჩენენ! თავს დაესხმიან ხოლმე და გაცარკვავენ.

ეს რომ ესთქვი, ვეღარ მოითმინა ვახტანგ რჯულის მდებარეობა და მომაყვირა;

— კანონი და სამართალი?

— ცრუმოწობა კანონათ შემოვიდა, ცრუ ფიცი აბაზათ ღირს.

— როგორ თუ კრუ ფიცია? მომადხა ერთმა წვეროსანმა, — სარწმუნოება?

— დღეს აღარც ლოცვა და აღარც მარხვა.

— ეს სულ კული აზრის ბრალი ყოფილა! და რას შერებთან ქალები? ნუ თუ აღარ არიან ცა-ლები, დედები და დებო? — იკითხა შეწუხებით თა-მარამ.

— გახლავან, დედოფალო! გახლავან, მაგრამ სულ სხვანაირათ გაიმღერიან.

— განათლებული თაობა? — იკითხა პეტრიწიმ.

— განათლებული თაობა ისევ ჩრდილშია: რა-საც გაიგონებენ სხვან, სულ იმას იმეორებენ, თავისთავით ვერაფერს ვერ ახერხებენ. არც ერთი მათ-განი კატათ არ ჩაივდება, მაგრამ ლომობას კი ჩე-მობდენ. როცა საქმე მოითხოვს შრომას, ერთიოლთას გარბის და მეორე ბალთას. უბრალო თავმოყვარე-ობას და თავის პაწაწუნა პირადობას ქვეყანას და ქვეყნის საქმეს სხვებულათ სწირვენ, გული კუჭი ჰგონიით და თავი — ფეხები.

აქ ისე გამიტაცა ლაპარაკის წყურვილმა, რომ ვგონებ ერთ წელიწადსაც ვეღარ გავათავებდი მათ შესამოგებლ იმბიკოებს, რომ ვიღაც მოხუცი არ გამომხტარიყო და არ გაეწყვეტინებია სიტყვა... ის იყო თურმე საბა-სულხან ორბელიანი. გულდაწყვე-ტილი მიუბრუნდა მეფეებს და მოახსენა:

— როგორ გეკადრებთ ამის ყურის გდება! არ იკით, ეს ვინ არისო? მე რომ სიბრძნე-სიტყურეში ყიამყარა მყავს აწერალი, ის ვახლავთ, და სულ უსიამოვნო რასმე ლაპარაკობს, თვარა ღმერთმა ნუ ქნას, რომ საიქარ ასე გაფუჭებულიყოსო.

ეს რომ მოისმინეს, დავით აღმაშენებელმა უღვაწეებში ჩაიკინა; თამარმა გაიღიმა და სთქვა: სწორეთ მართალი უნდა იყოსო! ეს აქაურობასაც აურევსო და ისევ ვაგდეთ იქითკენ, საიდანაც მო-სულაო. თქმა დე ვაგონება ერთი იყო: გამოცენ-დენ ამქიდან, იქიდან მოკაულები, მტაკეს ხელი, ცრთი მისთანა პანდური მხანტქეს, რომ სულ ბზიალ-ბზიალით წამოვედი მაღლიდან... გამხდა ბრეგვა მი-წაზე და კიდევაც გამომღვიძა.

აკაკი.

გამოკახილი

ჰეი, ჰეი — გესმისთ, გესმისთ
ჯჯრღმულღმეში მოანტუნლონო,
ყანის მუშავ ბედ დამწარბო
ცხოვრებისა უმადურნო!

თქვენ მაშვრალნო, მძიფე შრომას
წამით არის ჩამოსცილდეთ
ხმა მოისმის გლოვის ზარის
თქვენც აცრემლით, აქვითინდით.

შეუერთეთ თანაგრძობა
დღეს ქართველებს, ქირის მნახველს,
მოურწყევით ცრემლით კუბო
თქვენს ვარამის გამოშასხველს.

ნურას ირცხეთ, მაგ ძონძებში,
არც რამე გაქვთ აქ შესაშინი,
ჰკადრეთ, ენა ვაგონეთ
მისგან განაშალაშინი.

„არ მომკედარა, მხოლოდ სძინავს“ —
უვალობეთ შუბლ სხივოსანს,
თქვენგან მეტათ ეამება
დიდ აკაკის, ჩაგრულთ მგოსანს.

ვ. ჭუკონია.

სახელ-დახელო

კიი ხოლუვა ამ წელს, კარგი წელი ეს დადგა.
ჯერ ისევ ახალ წლამდე ყურები გამოგვიქვდეს:
თათარი მოდისო. ახალ წელს ქალაქში ჩამოვაო.

ვერ მივართვით გოზინაყო...

მაგრამ, თუცა გოზინაყო შეგვრჩა, მაგრამ არა-
ყო არა გეკონდა — ერთმანერთისთვის ახალი წელი
მიგველოცნა და გამწარებული პირი გოზინაყოთ ჩა-
გმეკლოზებინა.

არაყს ჯანი გავარდეს ღვინოც არ იზოგობდა.
თუ ვინმე იშვანა, ისიც სიფხიზლის მცველებმა და
დარაჯებმა წაართვეს. ზოგს პროტოკოლიც მია-
ტყეს ახალ წელს საჩუქრად.

არა, ეს დღესასწაულის შეცვლა რაღა იყო.
რაც თავი მახსოვს, მირჩმა 2 თებერვალს მომხდარა.
წელს არ ვიცო, როდის იქნება. ზოგმა 1 თებერ-
ვალს იღდესასწაულა, ზოგმა 2 თებერვალს, ზოგს
სულ გადავიწყვა — იყო წელს მირჩმა თუ არა.

ეს რაღაც სიზნოი ტიფია და ავადმყოფებს კი
არა, კარგა მყოფ ექიმებსაცა სპობს.
ღმერთო, შენ მიშველე...

ზამთარიც რომ წელს ზამთარს არა გავს!.. ისე
გადის, რომ ქალაქში თოვლი თვალთ არ გვინა-
ხავს. მზე ისე კაშკაშებს, რომ მაისის დღე გვეკონე-
ბა. თებერვალში რომ მაისი დადგეს, მაისში რაღა
იქნება?

დიდ მარხვაც რომ აღრე დაგვიდგა. გწყალობ-
დეთ დიდი მარხვა. ეს დალოკილი, თუ გასამართა

ხებელი ქალაქელი ვაჭრები, ისე ამხრებენ სურსათსა და სანოვაგეს, რომ თქვენ მტერს... მგონია ასეთი დიდი მარხვა ჩემ დღეში არ შეეძინახოს. ბატონო, ყველაფერს მამასისხლად ჰყიდიან და თუ ჯიბე არ მომდევს და ვერც ყველს იყიდი და ვერც ეყრტვსხა, რა ჯანდაბანს ყველიყრია! და თუ ვერც ხიზლოლას იყიდი, ვერც თევზსა, ვერც ლენოსს დალევ, ამაზე კიდევ დიდი მარხვა ვაგონილა?!

ვმ, რა გაეწყობა, ნათქვამია:

საწყალსა კაცსა ვინ მისცემს ალბის ღამეს ლენოსსა?

პური სკამოს და წყალი სვას, დაწვეს და დაიძინოს.

ეშმაკის ფეხი.

ორფეხა ობობები.

არა სახუმარო, არამედ ცხარე ცრემლით სატირალო.

(მღენად: ამასს, ამასს, ამასს-ამასს: ელასს, მკლასს, მუღასს, გუასს, ასისისს, კასინესს, ქრისტანესს, მაკრინესს, ოლასს, სონანასს, გოგუნასს—დრაგუნასს, გაცასს, გუგასს, ვარდასს, მარდასს, სხატელას ჩასატელასს, ჩანტობასს და უგნობასს, თითქმის მთელ საქაღვალეს).

ამ დღეებში თქვენი უმორჩილესს მონასს და ყოველივე თქვენი „კაპრიზების“ უსიტყვოთ აღმასრულებელს, პიტნას, ერთი წიგნი ჩამივიარა ხელში. ეს წიგნი შეიცავს 500 გვერდზე მეტს, კარგ ქალაღებუა დაბეჭდილი, სუფთად არის გამოცემული და ღირს სულ რაღაც ერთი მანეთი და ერთი ამაზი; წიგნის სათაურია: „**ცხოვრება და მეცნიერება**“.

შრომა მართლა და დიდად სერიოზულია და დიდად მივიკრს, რომ მთელი შრომა ეკუთვნის ქართველ სტუდენტობას... წიგნში ბევრი საყურადღებო წერილებია მოთავსებული მეცნიერებისა და ცხოვრების სხვა და სხვა დარგიდან, მაგრამ მათში ყველაზე მეტად ამ ეპოქა ჩემს ყურადღებას იპყრობს სტუდენტ მის. ცეცხლადის მეცნიერული, მაგრამ დიდად გამაღიზიანებელი შრომა „სტესობრივი საკითხი“. იქნებ არაფრათ გამოიტანებოდეთ, იქნებ კიდევ იწყინოთ და მეც და პატრცემული ავტორიც ორივე მიგაწყველ-მიგვადუგო, მაგრამ მე მაინც ჩემსას არ დავიშლი და ერთ ადგილას ამ შრომიდან საესებით ამოვიწერ და შენ გინდ წაიკითხე და გინდ ნუ. გურამიშვილმა სთქვა: „მე ეს ხიდი საველიათ ღიბს წაწრით გავდეო, შენ თუ მრუდეთ გაივლი მე რაწყალში ვარდეო“. აი ეს ადგილიც:

„ობობებში საინტერესო მოაფენას ვამჩნევთ: გარეგნობით მამალები მადღერობათით სქესზე უფრო მომგროს და ნაკლები ტანისანიც არიან, ღელაის შესანარჩუნ-

ნებლათ მათ შორის ხშირათ სამკვდრო-საინტერესო ომაც ამართება, მშვენიერა არსებას (დღედაუქუნიშმატია მას ეკეთეს, ვინც ომიდან გამაღიზიანებულსა, მაგრამ გაიქვას თუ არა თავდავიწყების წუთი, ღელაი მოაფრუნდება და შთანთქმის თავისი შეუღლეს... ხშირად მამად სატოვანთ დრბასს ღელაის ტანზე და მის ვეებერთელა ფეხებზე, ცდალბის ნორაზე დაქმლბის და გადარჩეს თავისი მოსაიყვარულე შეუღლეს... ერთი მკვლეფრა ამასაც კი მოკვიბირბობს, თურაგორ შთანთქმა ღელაღმა თავისა სატრფო, სწორეთ ამ დრბს, რთცა ის უმაღლესი გრწნობით თუა გატაცებულა და არ დაბაღლა საესებით დამტებარაფო თავდავიწყების წუთით“.

როცა მე ეს ადგილი წაეკითხე, თვალ-წინ დამიღგა... (მაგრამ არ ვიცი ვაგებელო თუ არა ამისი თქმა, რაც იქნება იქნება ვაგებედავ, ან კი ვილასი და რილასი მეშინია, მე ხომ ტირაფში ვასული... ვარ). ღიბს, თვალ-წინ დამიღგა ბევრი, ძლიერ ბევრი ორფეხა ობობა, რომელსაც სჯულიერი მუელდო ეწოდება, ფერსა და უმარულს იცხებს, კორსეტს იჭირებს, მოღაზე ჩაცმა-დახურვა იცის, სიარულიც იცის, ცეკვაც და ტლინკვაც... ხო და რამდენი ვიცი, და ვანა მე ვიცი მარტო, იმდენი წელიწადი შენ გასცილი, რამდენი შენც იცოდე ასეთი მუელდო, რომელსაც თავისი „ტარიელი“ ჯვარის წერის შემდეგ თუ საესებით არ შთაუნთქვას, სამაგიეროთ მთლად გადაუყვალავს თავის ქმრის პირგენება, მისი მე, მისი ნება და ყველა ის, რითაც ამ „გაცნობადი“ ამყობდა მამობობითი სქესი... თუ არ გჯერათ, ამისი მადალითები გოდრით მაქვს.

ვინ არ იცნობდა ჩვენ გოდრგის... მისმა ლექსებმა აღრე მიიქციეს ყურადღება, მაზედ დიდ იმედს ამყარებდენ. მის ლექსის ღამაზ რთიმასთან ერთად, ის ტანითაც რთიმოვანი იყო, ვასათხოვარი ქალები იზნიდებოდენ... ეორეიკი ბევრი ეზრუებოდა, მაგრამ ის გაუბობდა ცოქმრული უღლეს, გომოდა შენბოქვის, მაგრამ ანიკომ ამოლოლი ნიშნში და შეფიცა, რომ ის პირიქით მის შემოქმედებითი ნიქს ხელს შეუწყობს, დაეხმარება, ამბალღებს... მოსტყუვდა გოდრგი, დაუჯერა ევას და ჰამა აკრძალული ხილი და დღეს... იმავე ანიკოს წყალობით გოდრგი პრისტავი ვახლავს... ღიბს, ანიკოს არ ეყო პოზნა და იღია, რაღან ეს არც ერთი საეკლესიოთ არ ვამიღგა და იმდენი ეჩინია მუელდლეს, რომ შემოქმედებითი კალმის მადიერ ხელში ააღებია მათრახი და საპროტოკოლო კლაში. ანიკომ შთანთქმა გოდრგი და საუკუნოთ იყოს ხსენება მისი.

II
 არც ლექსო იყო ურიგო ბიკი. სემინარიში სწავლობდა. ლიბერალიზმა, აკრძალულ წიგნებს.

კითხულობდა... სასულიერო სემინარიამ და სასულიერო პირების გაცნობამ ის დააწმენდა, რომ ყველაფერი უმედურების მიზეზი სამღვდლოებაა და მანაც საცხებით შეიძულა ეს წოდება... სემინარია გაათავა და სოფლის მასწავლებლათ წავიდა, ფიცი დალო რომ მიელი მის სიცოცხლეში მასწავლებლობით სოფლისათვის ემსახურა... ცნობილი მასწავლებელი შეიქნა... გაიცნო სოფლის მასწავლებელი ქალი, მახეღ უფრო „მემარცხენე“, ლექსო მოიხიბლა: „აი ვისთან შეიძლება ცხოვრების მძიმე უღელი სწიოთ“... გადასწყვიტა, თუ სონაც თანხმა იქნებოდა შეუღლებულიყვენ და ერთად ემსწავლებლათ... შეუღლდენ... და დღეს ლექსო—ალექსი ბლადოჩინი გახლავთ, სონა კი ფოფოლია სოფიო...

და როცა სოფიოს ჩამრგვალებულ-ჩასუკებულ არსებას უტყერი და როცა ძველი ჩემი ლექსო ძველ მგებობებს დარცხენით და დამნაშაის თვალით გვიტყერის, მაშინ გუნებაში ვამბობ: „საწყალო ჩემო ლექსო, შენი იდეა სონამ შთანთქამ მეთქი“. ღმერთმა განუთხეროს ლექსოსაც, არც ეგ ითქმის ცოცხალთა რიცხვში, მისი პიროვნება გაჰკრა. საღდაა გატაცებული ლექსო, რომელიც ქვეყნის აბრუნდის გადმოპარუნებას ცდილობდა, მოკვდა ლექსო, დღეს პანაშვიდის გადახდა რომ უნდოდეს და ვინმე ქვრივობლისათვის ღრამა-ფულის პატიება, ამისინება-რთვა ფოფოლიანად უნდა გამოითხოვოს, ბლადოჩინათ ითვლება და სახლში კაბინარქიელი უყავს...

თუ არ დამეხსენებთ, ამ ყლანაობობების ოინებს მომავალ კვირას კიდევ მოგახსენებთ.

პიტნა.

გურული სცენა.

იოსე ქრისტემ თავისი კალთა უხეებისა ამ ჩვენ ქვეყანაში დიებერტყაო, გამიგონა ცხონებულ ბაბუიდან, დასურ თუ ავი ასე იყო, იმ დალოცვილს არ შეიძლებოდა თლა მაშინ არ დიებერტყა და და ერცხებ ამ გაკვირებულ წელიწადიზა მიეტიებოა? შვი დედასა ვინჯათ წვეიდა ძმავ საქმე. კბილზე დასაცხები აღარაფერია და რალა მოხლეი ვაქამო მტერ-მოყვრებს, ცოლ-შვილს. მთელი სოფელი ჩემ ჯიბესავით გამოხინკილებულია. ძალღები დაწოლილი ყვეფენ. თავებში მოშინაურდენ. მხოლოთ არ მოშინაურდენ მაი ვსაყუთევი ვაჭრები, ვასტებიან თვალები და საცხა თუ კაპევი მუშუმატეს იგინი აქანაი შაულს დააკვებენ. ჩვენც რომ წიგვეყლიტებით თვარა ჰაი დედასა ერთი აგენის დახლში მანახვა ნეტაი მამულ-დაღები. ანდაზა: „ზოგს ხუცესი უყვარს და ზოგს მისი ცოლიო“. აი მთავრობაც ჩემის აზრის ფოფოლიბისკენ ყოფილა, ხუცების ცოლებს ხუცებზე უფრო

უფროთხილდება. გამოუგზავნა ასიანები გვიბიზნეთო, კაი დავითამ რას ფიქრობენ მაი ფოფოლიტე უჩვენი ცოლები რომ გაწყდენ და იგენს სტატუსს ქვეყანას ეყოფენ? მარტუთი დიკვნები გამრავლდება ქვეყანაზე.

შენ უე ქსიტავ ბიძა, ბრძოლის ველზე რომ არიან იგენმა იტროს თვარაო, გეტყვის ზოგეერთი. მერე და ბრიყვებმა იგი კი არ იციან—იქინეი ყურ-შუმი რ-რ-რ, ხააა დეიძ-ხებს და მორჩა ყოლიფერი, აქანაი კი—უნდა იფანცხალო მღუღარეში ჩაყრილ კიბორჩხალიტე. ამ სალდათისას შეშას უტვარუნე, იმ ზაპასისას ქეფლი თრავე, იმას წიებმარე, იმას წიებლდე, შინ მიხვალ და დატილელი, აზლიანებულ-ლი ბაღები, აქეთ ცხვირ-წამობილი ვაკაპსებული ქალი, ნასტაიში ვაინა თუ ვინდა აქანაი გეიმართება, ვეღარც შტიქს მებისარ და ვეღარც ზარბაზნს. ან უნდა მეფუვა კული გებენსავით, ანდა ქვაი ვახვრიტო და ჩუუტერო პირში რაცხა.

არა, საყიდელიც რომ არ იზონება ავი თქვი თვარა ფული? ფული ბე! სიცოცხლე გაქ ავერ ხა, მომივიდეს—გოროდ ბათუმიდან, ღმერთმა ისე სამართლიანად მიმყოფა იქაური ტაბელჩიკები და სტარშების ოჯახი. აი მესმის ერთობა და ამხანავობა. მე აქანაი ჩემი ბატონი შენ ხარ ნაცარში ბღღვირს ვაყენებდი და იგენი კი კი იქინეი თურმე ტაბელში მუშათ გვათელიდენ და ასე თურმე ორმოცდა ათი ტრიკვი დღეი მიწერია, ორმოცდა ათი მანათი და ორმოცდა ათი აბაზი კაი ფარაა ძმავ, ბარე ათი დღის კილო ჩემი გენისცეცხლი მკვდარი ძმის.

აი დედასა ჩაიჩხრიალავ ჯიბეში ფულებს და მაშინ კი გამევიბეებები და გავაძლებ ჩენს თამარასაც და მაშინ ვეყურეთ სეირს. მომიტუქუტუკებს, მუუტუტუტუკებს, მომიჩოჩოტება მუუჩოჩოტები და ფეხებზე მკილია ვაენი და მისი ძიძგინი, დუუკრავს ჩეგვრო და მეც მუუღლიდინებ ბოხი ხმით:

თლათ ქვეყანა ეისვარა

დვისვარა, ვირია.

ტყეა, ცეცხლი, სისხლი, ცრემლი ყველა რავერ შეირია!

ერთისთვის რაც დალუქვაა მეორესთვის სეირია.

გუშინ ძმაი, დღეს სტრელია,

გამოსკვალეს ლოზუნგები!

ონ ქვეყანავ, წამებულა

დანგრეულია როღის დღები?

და ამ ლილინში კიდევ ვავათობარიკებ ამ ზამთარს და მერე აღახ-ბილიურ.

შანკოლა.

მეზობლები

ხშირად მეზობლები—მეგობრები არიან. დიდ მეგობრობას-კი ხან და ხან დიდი მტრობა მოსდევს, — ნათქვამია. ჯერ მეგობრებს ერთმანეთი უყვართ. უერთმანეთოთ ჭურს არ მოხდიან. ულოკავენ ერთმანეთს კალანდობას, ყველა დელსასწაულს. პატივებზე ერთმანეთის ნათლობაში, ქორწილში, ქრთის სიტყვით, ლხინში და ჭირში ადგებიან ერთმანეთს.

მაგრამ საკმარისია მეზობლებს ლაპარაკი მოუვიდეთ ან მიჯნაზე — ერთი გოჯი შენკენ გაგიწვიოთ, ან მეზობლის ღორი შეიპაროს ყანაში, ან მამალი დაეკარგოს მეზობელს... მშვიდობით მეგობრობავ, მშვიდობით სიყვარულო...

ასტყედა მეგობრებ შორის შური და მტრობა, გაუთავებელი საჩივარი ერთმანეთზე, დაუსრულებელი ხეტიალი სასამართლოში. ერთი მეორეს ემუქრება:

— ჩოხას გავიხდი, მაგრამ მეზობელს არ დავჩაგვრინებ.

მეორე ემუქრება:
— მაშ რაღა კაცი ვიქნები, თუ სულში გესაქმე არ მოვიგე.

დაღიან სასამართლოში, ადვოკატებთან, ხარჯავენ ფულსა და სიზმარშიაც-კი იმას ხედვენ—მე გავიმარჯვებ და მეზობელს თვალი დავთხარო.

ასეა სახელმწიფოთა შორისაც.

რუსეთი და გერმანია მეზობლები არიან. ორასი წლის განმავლობაში მეგობრებიც იყვნენ. ერთმანეთს ყველაფერში ეხმარებოდნენ.

რუსეთი გერმანიას ჭურს უგზავნიდა, გერმანია კიდევ რუსეთს — რკინასა და ფოლადს. რუსეთი ხეტყეს უგზავნიდა გერმანიას, გერმანია-კი — მშენებრი რთილობას და პიანინოს. რუსეთი უხვად უგზავნიდა გერმანიას საკვებს — კვერცხსა, ღორს, თევზს, ხიზილალას, გერმანია გზავნიდა რუსეთში ახალ მოდის კაბებს, ხელთათმანებს, კალმებს, ყარანაშებს, ქაღალდს, სურათებს, სათამაშოებს. რუსეთი უგზავნიდა გერმანიას შავ-ქვას. გერმანია აკეთებდა ზარბაზნებსა და ყუმბარებს და თავის მხრივ არ შურდა რუსეთისთვის შავი-ქვის სამაგიეროდ ტყვია-წამალი და ცხელი ნაკარი.

მერე დიდ მეგობრობას მოყვა დიდი სიძულვილი, შური და მტრობა

მტრობამ ომი გამოიწვია.

ესლა რუსეთს გერმანიისთვის ლუკმა პური შურს.

მილოცვის და მოკითხვის მაგიერად რუსეთი და გერმანია ერთმანეთს ყუმბარებს უშენენ.

იაპონია და გერმანიაც ერთ ღროს დიდ მეგობრები იყვნენ, მაგრამ ევროპაში ატეხილმა ომმა ისინიც ერთმანეთს წაჰკიდა.

იაპონიამ გერმანიას ომი გამოაცხადებდა. გი ლუკმა წაართვა ჩინეთში...

ორი მეზობლის ჩხუბმა თითქმის მთელი ქვეყანა წასჩხუპოს ერთმანეთს.

მეზობლები ერთმანეთს გადაემტრნენ და ასტყდა მთელ ქვეყანაზე გაუთავებელი ყლუტა.

ღმერთია მოწამე, მე ჩემ მეზობლებთან არც დიდი მეგობრობა მქონია და არც მტრობა. ვიყავი ჩემთვის სულ განაბული, ჩემ ქერქში. მეგონა, მე არავინ მერჩის, მაგრამ, ვაი სულო!.. ისე დაერივნენ ერთმანეთს, რომ ესლა მეც მეშინიან. ნათქვამია — აქლემები წაიკიდნენ და შუაში კოხაკი გაელიტესო.

მეც სწორედ ამისი მეშინიან — არ გამკყლიტონ...

კოხაკი.

სოფელელი ქალაქში

ბავშობისას ერთი ამხანაგი მყავდა სოფელში. ერთად ვსწავლობდით და ერთმანეთი გვიყვარდა. ამხანაგს დედ-მამა ადრე დაეხოცა. სკოლას თავი დაანება, ოჯახის მოვლა-პატრონობას მოკიდა ხელი, დაკოლა-შვილდა და სამუდამოდ სოფელში დაბინავდა. ისე გაატარა თვისი ცხოვრება, რომ ტფილისში ერთხელაც არ ჩამოსულა.

ზაფხულში ვეწვიე სოფელში, გავიხსენეთ ძველი მეგობრობა. წამოსვლის დროს ვთხოვე — ზამთარში ხომ ბევრი საქმე არა გაქვს სოფლად, მეწვიე ქალაქში, ბევრს რასმე სასიამოვნოს ნახავ, რაც არ გინახავს.

ესლახან მეწვია მეგობარი. გამეხარა. ქალაქი დავატარე და საღამოთი თეატრში წავიყვანე. მეგობარს წარმოვდგენა ძლიერ მოაწონა. ანტრაქტის დროს დერეფანში დავსეირნობდით.

ორი ახალგაზდა კაცი ერთმანეთს ელაპარაკებოდა. მეგობარი ყურს უფდებდა. მეც დამიძახა.

ერთი ეუბნებოდა მეორეს:

— მაშ ეგრე? ძლიერ ცუდათ არის საქმე?

— ძლიერ ცუდათ. არ ვიცი რა ვქნა... ერთი ყალბი ანდერძი, ორი კაცის მოკვლა და ერთიც დაზღვეული სახლის გადაწვა... ამ საქმეების მეტი ჯერ არ მაქვს. არ ვიცი, რა მეშველება...

ჩემი მეგობარი შიშმა აიტანა. ვკითხე — რა დავგეპარათ?

დეკემბერი

(„მათრახის“ საკუთარ კორესპონდენტსაკან)

მეგობარმა მკითხა: „ვინ არიან?“ გამეცინა.

ჩემო კარგო, ნუ გეშინიან, აქაური ახალგაზდა ვეჭვლები არიან.

მალალი, მოსული კაცი ეუბნებოდა ტან-წერ-წეტა ლამაზს ქალს:

— რატომაც არ მექნება ფული? გაკოტრდება კაცი—ჩემთან მორბის, მოუკვდება ვინმე და დასამარხი ფული არა აქვს—ჩემთან მორბის, დღესასწაული დადგება—მე უნდა მომამაშუროს, სამსახურიდგან დაითხოვენ მე უნდა შემომპტიროს. ერთის სიტყვით, ვისაც გაუჭირდება რამ—ჩემი მსხვერპლია, ჩემ ბრკეპელებში უნდა ჩავარდეს, ყმად გავიხიდი და ვილი, ვატყავებ უბედურს...

ჩემი მეგობარი ალელდა. ვინ არისო,—მკითხა. ვუპასუხე; ბანკირია... თქვენში მეგობრებს ეძახიან. შევედით თეატრის დარბაზში და დავსხედით.

ერთი კაცი ეუბნებოდა მეორეს:

— ჰო და მე დღეს სამი კაცი გავჭერი. მართალია, ერთი მოკვდა, მაგრამ ორი სიკვდილს გადურჩება. ერთი კი დღე ორ თვეს იცოცხლებს.

მეორე კი, თუ კიდევ არ გავჭერი, ორ კვირავზე მოკვდება...

მეგობარი შეშინდა. დავამშვიდე: ნუ გეშინიან—აქაური ექიმები არიან, ხირურგები...

მეგობარი წამოხტა.


— არა ძმაო, მშვიდობით, აქ ეერ გავჩერდები. ამაღამე სოფელში მივდივარ. მეც უკან გავყევი მეგობარს.

ორი კაცი დაგვეწია. ერთ-მეორეს ეუბნებოდა:

— ისე გავხადე, ისე გავთათხე, შეეარცხენინე, თავს ლაფი დაეხსი, მტკვარი ვერ გარეცხავს...

— ეურნალისტები არიან,—წაფიქრებულე მეგობარს. მაგრამ ყური ვინ დაგიგრა. ვახშამი არ უქმნია. გაქუსლა რკინის გზის სადგურზე და წასვლის დროს მითხრა: „ფიხი მომტყდეს, თუ კიდევ ტფილისში ჩამოვიდიღო“.

ბფილელი.



ბათომი. ჩენი ვასართობი ეს განხლავთ. ზღვის კიდზე რომ კვამლს დაენახავთ, გაიხარებთა ნიძლევით: „გებენი“ მოდის თუ „ბრესლაუ“. სროლას რომ დავვიწყებ, მკოდნე კაცები ამბობენ: „გებენის“ ზარბაზნებიაო. ან კიდევ „ბრესლაუსი“. მერე ყუმბარების ნაქუქებსა ვკრებთ და სახსოვრათ ვინახავთ.

ბოლო დროს ნიძლავი წავიხიდა, მტრის გემი გამოჩნდა. ზოგი ამბობდა „გებენიაო“, ზოგი — „ბრესლაუ“. ნამდვილად კი თურმე „მეჯიდიე“ ყოფილა.

ბაქო. ვაი თქვენი კორესპონდენტის ბრალო, თორემ მდიდარ ბაქოელებს რა უჭირთ! ქვეცა აქვთ და კაკალიც, ნავთი და ბარკალიც. მდიდრები მოსკოვსა და პეტრებუში გაიხიზნენ. ჩინოვნიკებს გამოუხტადეს: ვისაც ცოლ-შვილი გაყავთ, ფული წაიღეთ ხაზინიდან და ცოლ-შვილი რუსეთში გავზავნეთო. ორიოდ ჩინოვნიკი გაბრწყინდა. ცოლები შეირთეს და ხაზინას ფული მოსთხოვეს. მთავრობამ უარი თუხრა. ეგ ჯერი არ არისო, ახალ ჯვარ დაწერილებს ფულს არ ვაძლევთო. დაღიან ეხლა ახლად ჯვარ-დაწერილინე ყურებ ჩამოყრილინი.

არღვანი. თქვენს მტერსა და ღუშმანს, ჩვენ რომ ეხლა საქმე დაგვემართა. მოვიდა თათარი—აქედგან წავიდეთ, წავიდა თათარი აქ მოვედით. ხეტალში ტყენი წავგვექცა, სახლი დავტყეცა. ერთის სიტყვით, საითკენაც გავიქეცით, იქით წავიქეცით.

გორი. 11 იანვარი: გამოვიდა გაზეთი „ქართლი“.

12 იანვარი: გაზეთის „ქართლის“ გამოცემა რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო შეჩერებულა.

13 იანვარი: გამოვიდა ახალი გაზეთი „ახალი ქართლი“.

14 იანვარი: „ახალი ქართლის“ გამოცემა შეჩერდა.


15 იანვარი: გამოვიდა „განახლებული ახალი ქართლი“.

26 იანვარი: „განახლებულ ახალ ქართლის“ გამოცემა დროებით შეჩერებულა.

5 თებერვალი: ნამდვილად შევიტყეთ, რომ ხელ-ახლა გამოვა „უგანახლებულესი ახალი ახალი ქართლი“.

ღარუბანდი. აქ სრული მშვიდობიანობაა. თათარი და ლეკი ერთმანერთს ომის გამოცხადებას არ უპირებენ.

ერევანი. დეკემბრამ ამავეი მოიტანა: თათრები მოდიანო — მცხოვრებნი გაიხიზნენ. დეკემბრამ ამავეი



ოიტანა: თათრები წავიდნენო - გახიზნულები დაბრუნდნენ.

ვანი. ჯერ-ჯერობით არაინ იცის დანადგობებით: ვანი სომხეთის ავტონომიის სატახტო ქალაქია, თუ ვანში ჯერ ისევ თათრის ფაშა ზის ტახტზე.

ზაქათალია. აქ სრული მშვიდობაა. ხბო და მგელი ერთად სძოვენ.

თელავი. დიდი ბედნიერება გვეწვია: ღვინო აღარავის მიაქვს და... ჩვენ თვითონ ვიახლებით მართალია, ფული მოგვაკლდა, მაგრამ... ხომ იცით, „ქართვლს თუ ღვინო ბევრი აქვს, ყველა ფეხებზე ჰკილია“.

იალბუჯი იალბუჯზე დასახლებულს „მათრახის“ კორესპონდენტს ძალი ვერ დაჰყვას. ვარ აქ ჩემთვის არხინად და ბედნიერად ვერც თათარი ამოვა აქ და ვერც ყახახი მოვა თათრის გასაძვად. ვარ და ბედნიერი ვარ...

ზროვინციებიდან:

სოფ. ქვალონი. კვირას, 8 თებერვალს, დანიშნულია პანაშედი, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ - გარდაცვლილ ქვალონის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სულის მოსახსენებლად.

ხობი. სამკითხველოს უკეთობა ეტყობა, სიტემ უკლო. მაჯის ცემა ნორმალური აქვს.

ზუგდიდი. „მაშულიშვილ ფედერალისტებს ვადაუწყებრათ სამკითხველოს არ გამოუწეროთ ვაზ. „ახალი-აზრი“, და ამ საშვალეებით ებრძოლონ მარქსის თეორიას.

იქიდანვე. სრული სამი დღე და სამი საათი შესრულდა, რაც „ბახუსისტს“ თავადებს არც ყავახანაში და არც გვასალიას სასტუმროში ჩხუბი არ აუტყვიათ.

იქიდანვე. რაკი ქუჩაში სიარული შეუძლებელია, დაბის „მამებს“ ვადაუწყებრათ გამოიწერონ დანაკლიიდან ომის გამო შეჩერებული შვი-ზღვის ფილუტები.

ახალ-სენაკი ქალებმა შეამდგომლობა აღძრეს ახლაც ჯერ არს; რაკი უმეტეს ნაწილი ახალგაზრდობის ბრძოლის ველზეა გაწვეული, შემოღებულ ქენას ისლამის კანონები, რომ თითო ყმაწვილს ნება ჰქონდეს 3-4 ცალი იყოლიოს.

ზუგდიდი. წიგნის მაღაზიის პატრონ ადამიანს ვადაუწყებრათ: თუ მისი მებობელი ჩარჩი, თვითო-

ნაც ივჯროს წიგნის მაღაზიაში ჩარჩული საქონელით, რომ თავიდან აიკლინოს მოსალოდნელია ჩრჩი-ზისი.

პროვინციელი წიგნა.

(შემდეგი შემდეგ)

მათრახი „პაგრომჩიკ“ გურულებს.

ვაზ. „აზრის“ აზრინამ კორესპონდენტმა თავის ყურადღება მიაქცია და გამოაქვეყნა შემდეგი: ნაძირალ გურულებს უსარგებლია აზრის დღევანდელი უბედურებით და ურცხვით ძარცვავს უპატრონო მიტოვებულ აჭარლების სახლ-კარსო, - მწარეთ გვაკნობებს ვაზეთის მოამბე. ცხდია ვათახსირება და სინიღინ-ნამუსს - შებრალებაზე ხელის აღება ამაზე შორს არ წავა, მაგრამ სასიხარულოთ ეს მიგვაჩნია, რომ ამას ამქედანებს თვით გურულები და იხვეწებიან: მახინჯი შვილები ვკირევიან, ხელ მრუდეები და ვთხოვთ მოგვეშველოთ, დავგისინით ამ არამზადებისავაზო. ჩვენ გვჯერა და გეწამს, რომ გურულებს ლავამს ამოსდებენ ამ ორფეხა -- მხეცებს, აღმოაჩენენ დამნაშავეებს და მათ სამარცხინო ბოძზე გააკრავენ, „ალაიაში გაარონიბენ“.

მართალია დღეს გურულებს ბევრი ფხიზელი ძალა აკლია, ბევრი გურის საუკეთესო შვილი ბრძოლის ველზეა, მაგრამ ამით ნუ წათამამდებიან „ხულიგან--პაგრომჩიკები“, კარვალ იკოდენ ამ ვაებატონებმა, რომ გურიაში ჯერ კიდევ არის სამისო ძალა, შეგნებული და ფხიზელი ელემენტები, რომ ამ ღამის გმირებს მოერიოს, ვირზე პირ უკუღმა შესვას და მათრახით ზურგი აუტყროლოს... ჩვენც სიმოვნებით მივიღებთ მონაწილეობას ამ „მომორების“ დასჯაში და „მათრახის“ ფურცლებზე „ჩაეფათრებთ“ ზურგზე ტანტ-კარდალ-საბან-ლებეგობ აკიდებულებს და იმდენს უტხუნებთ „მათრახს“, რომ სულ ვაი დედა მოგვეცი, მოგვეციო იძახონ.

რიფი.



შეპითხვა

ჩოხატაური, ს - მელის.

ვიციტ, რომ სიმართლე გიყვართ და ისე მაგრაათაც, რომ მედიტატორეთა განაჩენსაც აკრიტიკებთ და თვით მედიტატორებსაც სამედიტატორო სამართალში იწვევთ, ამიტომაც ვენდობით თქვენს აქეთილ სინდისიერებას“ და გთხოვთ გვიპასუხოთ:

- 1) ის ვინ იყო, ჩოხატაურიდან რომ შორეულ აღმოსავლეთისაკენ წავიდა, იქ ერთ ქალაქში „პივნია“ გახსნა და მეთავ ქალებთან ბუქნა-დავლურს უვლიდა?
- 2) ის ვინ იყო, რომ ლუდის „გატკბილება“ დასწამეს, ამხანაგები იქ დატოვა „სახელმწიფო ხარჯზე“ და თითონ კი იქიდან განერინა?
- 3) ის ვინ იყო თუთხმეტი კაცი და მფთვექსმეტე ერთი „ცნობილი“ პირი რომ შეაჯდინა და სიმინდის თხოვნის ნაცვლად მედიტატორეთა განაჩენზე პროტესტი განაცხადებინა?
- 4) ის ვინ არის, სხვის თვალში რომ ბეწვს

დვირეთ ხედავს და მის თვალში ამოსული „ხელფეხიანი“ მუხა ნემსათაც არ უჩქნის. ყველა ამ კითხვაზე თქვენს წასწახს გავცემთ, ჯილდოთ მიიღებთ წმინდა ადგილიდან გასაცოცხლოცხს.

აკეთელი.

წმირილი რედაქციას


ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ დამიმოწმოთ, რომ თქვენი ჟურნალ „მათრახის“ მე-30 №-შიდ, „ბერიქედანის“ მიერ ხელმოწერილი კორესპონდენცია ს. ხვარბეთიდან მე არ მეკუთვნის და არც რაიმე დამოკიდებულება მაქვს თქვენთან.

პატივისცემით კესა, გ-ას, თოხაძისა.

ვაპოწმებ, რომ ზემოხსენებული კორესპონდენტი კესა თოხაძისას არ ეკუთვნის და არც ჩვენს კორესპონდენტთა ითვლება.

„მათრახის“ რედაქცია

ცნობილი ლექტორი



— გთხოვთ ესლა გააგები სიტყვებით „ავისხნათ“ ლექციის შინაარსი.